ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ.

№ 21.

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ 4 ᲛᲐᲜ.

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ.

ᲥᲝᲕᲔᲚ-ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲙᲕᲘᲠᲐ, 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 1912 ᲬᲔᲚᲘ

ᲥᲝᲕᲔᲚ-ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“

ᲮᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲙᲔᲚᲐᲫᲔ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ, ᲥᲣᲗᲐᲗᲘᲡᲨᲘ (ᲡᲐᲮᲚᲘᲡ № 17), ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲛᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲖᲘᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲬᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲛᲘ, ᲡᲐᲛᲘᲜᲐᲡᲐᲜᲪᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲖᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲝᲗᲮᲯᲔᲠ ᲬᲚᲘᲗ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

ᲬᲚᲘᲗᲘ ᲤᲡᲚᲘᲗ:	ᲜᲐᲮ. ᲬᲚᲘᲗ:	ᲡᲐᲛᲘ ᲗᲕᲔᲗ:	ᲝᲗᲮᲯᲔᲠ ᲗᲕᲔᲗ:
4 მანეთი.	2 მანეთი.	1 მანეთი.	2 აბაზი.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ.

ᲤᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲢᲐᲜᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲣᲠ ᲜᲝᲛᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲡᲔ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲓᲔᲑᲐ: თვითდგან 2 მ. და 1 ეგზის 2 მ.
ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲬᲘᲜᲐ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲞᲘᲢᲘᲗᲘᲗ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘ ᲝᲠᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ, ᲧᲣᲠᲐᲜᲡᲬᲔᲚᲖᲔ 7 Კ.

ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ: ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ: „ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡᲐ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: 1) რას უნდა ხმარდებოდეს განსაკუთრებით ხატის სანთლის შემოსავალი—ხელისა; 2) საკითხი სულის უკვდავებაზე—ფი-პე ს-ძისი; 3) ყოვლადსამღვდელო ᲔᲠᲗᲘᲜᲘᲓᲘᲡ მოგზაურობა სამეგრელოს ეკლესიების დასათვალიერებლად—№-სა; 4) სინამდვილე და ოცნება (რეფერატი ნათაძისა); 5) ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ; 6) ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ—ᲒᲣᲚᲙᲔᲗᲘᲚᲘᲡᲐ; 7) ნ. ᲓᲣᲠᲜᲝᲕᲝᲡ ᲠᲔᲪᲔᲞᲢᲘ ᲛᲔᲜᲨᲘᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ; 8) ᲮᲛᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲓᲐᲜ—Z-სა; 9) გრ. ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲘᲡ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲮᲜᲐᲣᲠᲝ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ; 10) ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ—ᲞᲝᲠᲤᲘᲠᲘ ᲩᲮᲔᲢᲘᲐᲜᲘᲡᲐ; 11) ᲜᲔᲙᲠᲝᲚᲝᲒᲘ—ᲛᲦ. Კ. ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐᲡᲘ; 12) ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ—ᲛᲦ. ᲐᲛᲑᲠᲝᲡᲘ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘᲡᲐ.

რას უნდა ხმარდებოდეს განსაკუთრებით ხატის სანთლის შემოსავალი?

დღეს ბევრი სხვადასხვა დანიშნულება ეძლევა ხატის სანთლის შემოსავალს. ეკლესიებში აქედგან იფარება სხვადასხვა გადასახადები, საბუთების ფასი, ეკლესიის მორთულობისა და სამკაულისთვის საჭირო გასავალი და სხვა., ხოლო თვით ქარხნისა და დუქნის მოგება ადგილობრივ სასულიერო სასწავლებლებს ხმარდება. ჩამოთვლილი საგნები არავისთვის უსარგებლონი არ არიან და მით უფრო საჭიროა ეკლესიის მხრით მათი დახმარება. მაგრამ ამასთან არ უნდა დავივიწყოთ კიდევ უფრო უსაჭიროესი საგანი, რომელიც ასჯერ უმეტესი ღირსია ჩვენი ყურადღებისა. ეს გახლავთ ხალხში სარწმუნოებრივ-ზნეობრივი წიგნებ—წიგნაკების და

გაზეთ-ჟურნალების უფასოთ ან ხელ მისაწდომ ფასათ მოფენა. ყველამ კარგათ იცის, თუ რა ნაკლულევანებაა ჩვენში ასეთი წიგნებისა, მაგრამ ყველამ არ იცის, თუ რა ხალისით ეტანება ხალხი ასეთ გამოცემებს. ჯერ კიდევ ასეთი პირი, როგორიც იყო მ. დეკ. დ. ღამბაშიძე ძალიან ეჭვობდა ხალხის ამნაირ სიხალისეში და ჩვენ წინააღმდეგ წერილში, შესახებ სახალხო ზნეობრივ-სარწმუნოებრივ წიგნაკების გამოცემისა, გვარწმუნებდა, რომ ხალხი არა თუ არაფერს იყიდის, უფასოთ მიწოდებულსაც არ წაიკითხავსო; ასე რომ მუქთათ დასარიგებელ წიგნებსაც არავინ კიდებს ხელს, არა თუ ერი, მღვდელიც კიო. ჩვენ თავიდანვე წინააღმდეგი ვიყავით ამ აზრისა და ვამტკიცებდით, რომ ხალხს სწყურია შესაფერ წიგნების კითხვა, თუმცა ხელ მოკლეობის გამო ვერ ყიდულობს. და თუ ასეთ წიგნებს მუქთად დაურიგებთ, მადლობით მიიღებს და სიამოვნემით წაიკითხავსთქო. ჩვენ არც მოვტყუებულვართ. ცოტა ხნის გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ღვდელიც და ერიც სიამოვნებით და სიხარბით ეწაფება შესაფერ ზნეობრივ-სარწმუნოებრივ გამოცემებს. იმერეთის სარწმუნოებრივ-განმანათლებელ ძმობის უფასო გამოცემებს ყველა სიხარულით ღებულობს და კითხულობს კიდეც; აგრეთვე დიდი სიხარბით კითხულობს იმ მცირეოდენ წიგნაკებს, რომლებიც ამ ძმობამ ყ-დ სამღვდელო გიორგის ნებართვით და დახმარებით ეკლესიებს მიჰყიდა ხალხში საკითხავად. ყოველი კუთხიდან მოგვდის ახალ ახალი მოთხოვნილება ამ წიგნების ხელ მეორეთ გამოცემისა და ფართო გავრცელებისა ხალხში. ზოგიერთ მათგანს, როგორც გვარწმუნებენ, საყიდლათაც არ ერიდება ღარიბი სოფლის ხალხი და თხოულობს საკუთრებათ. ყველა ეს ცხადი მოწმეა იმისა, რომ ჩვენში, დაბალ ხალხში მაინც, არ გამქრალა ნაპერწკალი ზნეობისა, მოწმეა იმისა, რომ ხალხს სწყურია სარწმუნოებრივ-ზნეობრივი წიგნები. ამიტომ საჭიროა ფართოთ ვისარგებლოთ, ამ ხალხის წყურულით, საჭიროა დავაკმაყოფილოთ ეს წყურული და უპირველეს საშუალებათ ამისთვის უნდა მივიჩნიოთ ხატის სანთლის შემოსავალი, როგორც კერძოთ ეკლესიებში, ისე სანთლის დუქანსა და ქარხანაში. ამას მოითხოვს სამართლიანობაც და სარგებლობაც. სამართლიანობა მით, რომ სანთლის მოგება ხალხის ჯიბიდან ამოდის და მასვე უნდა დაუბრუნდეს სწავლა-დარიგება-აღზრდის სახით, სარგებლობა კი მით, რომ რამდენათ ხალხი სარწმუნოებრივ-ზნეობრივათ უფრო განვითარებულია, იმდენათ უფრო უყვარს მას ეკლესია იმდენათ უფრო ხშირათ დაიარება ტაძარში და მაშასადამე იმდენათ უფრო მეტ სანთელს ასაღებს თავის სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. თუ ამ მხრივ შევხედავთ საქმეს, და რომ არ შევხედოთ, არ შეგვიძლია, უნდა მივიღოთ, რომ ეკლესიის შემოსავალი უმთავრესად წიგნებ-წიგნაკებით და ფურცლებით უნდა უბრუნდებოდეს ხალხს. იმედია ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს სამღვდელოება, რომლის ხელშია ეკლესიების შემოსავალი და ადგილობრივი ყ-დ სამღვდელონიც, რომელთა უფლებაშია ამ საგანზე ნებართვა. საჭიროა ეხლავე, სანამ ხალხში არ გაციებულა სიხალისე ასეთი წიგნების კითხვისა, საჭიროა, ეხლავე რაც შეიძლება მეტი, თანხა გადიდვას ხატის სანთლის შემოსავლიდან სახალხო საკითხავი წიგნების გასავრცელებლად.

იმერეთის სანთლის დუქანს წელიწადში უკანასკნელი 10,000 მანეთი წმინდა მოგება რჩება; ამდენივე, თუ მეტი არა, მოგება შედის სოფლის და ქალაქის ეკლესიებს და განა დიდი დანაშაულობა იქნება, რომ 20-ათასი მანეთიდან, რომელიც ხალხს ეკლესიისთვის სანთლის სახით შემოუწირავს 5000 მანეთი უკანვე დაუბრუნოთ სარწმუნოებრივ-ზნეობრივ წიგნაკების სახით? ესევე უნდა ითქვას გურია სამეგრელოს ეპარქიაზედაც და ქართლ კახეთისაზედაც. ჩვენ იმედი არა გავაქვს, რომ ქართლ კახეთის ეპარქიამ როდესმე იფიქროს ამ საგანზე და სისრულეში მოიყვანოს. მაგრამ მაგიერათ სრული დარწმუნებული ვართ, რომ იმერეთში და გურია-სამეგრელოში დღეიდანვე შეუდგებიან ამ საქმეს, რის ხელმძღვანელად გამოჩნდებიან ყ-დ სამდვდელონი იმერეთისა და გურია

სამეგრელოისა, ხოლო მათი მეუფების ბრძანების აღმასრულებლად იმერეთის სარწმუნოებრივ-განმანათლებელი ძმობა. აყავნ! იყავნ!.....

ხელი.

საკითხი სულის უკვდავეგაზე[1].

(თარგმანი).

გაგრძელება

პსიხიკურ ატომიზმის თეორია უეჭველია განუზომლად მაღლა სდგას მატერიალისტების ტლანქ მოძღვრებაზე. ადვილი დასანახია, რომ მის წინააღმდეგ არავითარი ძალა არ აქვს იმ იარაღს, რომელიც ჩვენ მატერიალიზმის წინააღმდეგ მივმართეთ. ეს ცოტაა, ის, როგორც სჩანს, სერიოზულ საფუძვლებზე ემყარება. ის ეყრდნობა ფაქტების ორ წყებაზე. მატერიის თვისებათა შესწავლამ გაამეფა მეცნიერებაში მეცნიერულ ბუნებითი ატომიზმი. ორღანიულ ცხოვრების შესწავლას არსად არ აღმოუჩენია რომ მატერიისაგან ორგანიზმების წარმოშობის დროს მათში შედიოდეს ახალი პსიხიკური დასაწყისი. ამ ფაქტების ორ რიგისაგან გამოდის დასკვნა, რომ პსიხიკური ღასაწყისი იმყოფება მატერიაში—ატომებში. ასეთია საფუძველნი ამ თეორიის სასარგებლოდ. მისი დამცველნი ეხლანდელს დროში ცდილობენ გვაჩვენონ, რომ მას წარმატებით შეუძლია ახსნას სხვა და სხვა გვარი სულიერი მოვლენანი, როგორც ჩვეულებრივი, ისე პატალოგიურნი, გიპნოტიური მოვლენები, შემეცნების გაყოფა და სხვა; ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ამ თეორიის უძლურება ისე ადვილი გამოსააშკარებელია, როგორც ატომიურ თეორიისა. ეს თეორია არსებითად ძალიან მეტაფიზიკურია და იწვევს ყველა იმ იეჭვებს, რომლებსაც იწვევდა მეტაფიზიკების ძველი დუალისტური თეორიები. ამ თეორიით სული და მატერია განცალკევებული სუბსტანციებია ატომში მოქცეულნი. საკითხი მათ ურთიერთზე მოქმედების ან და ერთმანეთშორის დამოკიდებულების შესახებ უეჭველია მსგავსი იქნება ყოველ საკითხისა სულის და ხორცის დამოკიდებულებაზე, რომელსაც მეტაფიზიკები ხსნიდენ ხოლმე ოკკაზიონალიზმის თეორიით, წინ განჩინებულ ჰარმონიით და სხვა. უეჭველია, რომ დამაკმაყოფილებელი ახსნა ამ საკითხისა შეიძლება მხოლოდ თუ დუალიზმიდან მონიზმზე გადავალთ, ესე იგი იმ მოსაზრებით, რომ ჩვენ გვაქვს საქმე არა ორ სუბსტანციასთან, არამედ ერთთან; და ვინაიდან მატერიალურ მოძღვრების განხილვამ დაგვანახა ჩვენ, რომ არ შეიძლება სული შევსწიროთ სხეულს, მაშასადამე, რჩება მხოლოდ მეორე შესაძლებლობა—სულს სხეული შევწიროთ, აღვიაროთ, რომ ჩვენი პრობლემატიური ატომები მხოლოდ პსიხიური ატომებია და რომ მათი ფიზიკური თვისება მხოლოდ ჩვენი სუბიექტიური მიმდეობაა მათ პსიხიურ მოქმედებათა. ძალიან შესაძლებელია, რომ მომხრენი—ბევრნი მაინც ამ მომხრეთაგან—პსიხიურ ატომიზმის თეორიისა დაეთანხმებიან ამ შეხედულებას. ეს გაადვილებს საქმეს და უფრო ნათლად წარმოგვიდგენს თეორიას, თუმცაღა მას ვეღარ იხსნის. პსიხიკურ ატომიზმის თეორიით სულიერ-გონიერ არსებას ჰქმნის პსიხო—ფიზიკურ ანუ პსიხიკურ ატომების ინტერგაცია. უსაზღვრო მცირე პსიხიკურ ძალთა დიადი შეერთება გვაძლევს ნიუტონის და ლეიბნიცის გენიას. მაგრამ ეს თეორია უპირველეს ყოვლისა წინააღმდეგია იმ უეჭველ ფაქტისა, რომ თანასწორ პსიხიკურ ერთეულების ჯამს არასოდეს არ შეუძლია მოგვცეს ჩვენ იმაზედ მეტი, რასაც გვაძლევს თითოეულ ერთეულთაგანი კერძოთ. ამ შემთხვევაში შეუძლებელია შედარება სულიერ მოვლენათა მატერიალურ მოვლენებთან. თუ თქვენ გაქვთ მანქანა, რომელიც უდრის ერთი ცხენის ძალას და შეაერთებთ ას ასეთ მანქანას, თქვენს განკარგულებაში იქნება ასი ძალა; თუ თქვენ აიღებთ საგანს, რომელიც სივრცეზე ერთი ფუთის სიმძიმით აჭერს და შეაერთებთ ას ასეთს საგანს, მაშინ თქვენ მიიღებთ ძალას, რომელიც ასი ფუთის სიმძიმით დააჭერს. მაგრამ წარმოიდგინეთ ასი ინდივიდუმი, რომელთაც ერთნაირი ცოდნა აქვთ, შეგიძლიათ თქვენ სთქ-

[1]) იხ. „შინაური საქმეები“ № 20.

ვათ, რომ ყველა მათ ერთობ იციან ასჯერ მეტი, ვინემ თითოულმა მათგანმა იცის კერძოთ? არა, ყველა მათ ერთათ იმდენი იციან, რამდენიც თითოულმა მათგანმა. წინააღმდეგ არითმეტიკის ძირითად თეორიისა, ჯამი აქ უდრის თითოეულ მის შემადგენელ ნაწილს. თუ ჩვენ წარმოვიდგენთ ას ინდივიდუუმს, რომელთაც ერთნაირი მოსაზრების ძალა აქვთ, მაშინ იძულებულნი ვართ აღვიაროთ, რომ თითოეულ მათგანს შეუძლია გაარჩიოს ცნობილი საკითხი ისე, როგორც ასს ერთად. რასაკვირველია, პრაქტიკაში პირთა შორის ასეთ აბსოლუტურ თანასწორობას ვერ შეჰხვდებით, მაგრამ მაინც ვამჩნევთ საკმაო მოვლენას, მაღალ შკოლებში, ზოგიერთ საზოგადოება-წრეებში. თუ მოწაფეებს რომელიმე შკოლაში ყველას კერძოთ არ შეუძლია მიცემულ ალღებრაულ გამოცანის ახსნა, მაშასადამე ისინი ვერც ყველა ერთად ახსნიან მას. ნამდვილად, ინდივიდუუმები, ერთნაირ პირობებში ჩაყენებულნი, განსხვავდებიან ერთი მეორედან რამოდენიმედ, როგორც ცოდნათა ჯამით ისე აზროვნების ძლიერებითაც; აქედან რამოდენიმე ვარიაციები სდგება, ასე რომ ინდივიდუმების ცოდნათა ჯამში უფრო მეტია, ვინემ თითოეულ მათგანში კერძოთ, მაგრამ ინდივიდუუმები, ესე იგი ატომები, ჩვენ მიერ გამოკვლეულ თეორიაში ერთი და იგივეა და ამასთან უცვლელია, აქედან იმათგან შედგენილ ჯამში არ შეიძლება მეტი იყოს, ვინემ თითოეულ მათგანში კერძოთ. მაშასადამე, თუ ატომი შეიცავს პსიხიკურ ძალთა უსაზღვრო პატარა ჯამს, მაშინ იმდენადვე უსაზღვროდ პატარა იქნება ჯამი პსიხიკურ ძალთა ატომების უსაზღვრო დიდი რიცხვისა. ჩვენი მოსაზრების წინააღმდეგ პსიხიკურ ატომიზმის თეორიის მომხრეებს შეუძლიათ შემდეგი გვიპასუხონ. ისინი გვეტყვიან, რომ შემეცნების და საზოგადოდ სულიერ ძალთა ამაღლება დამოკიდებულია არა ატომების რაოდენეობისაგან, არამედ მათი ურთიერთ დამოკიდებულობის და მათი ჯგუფად შეკრებისაგან. **გიმალაის** მთები შეიცავს განუზომელ. მეტ ატომების რაოდენობას, ვინემ **მენდელეევის** ანუ **ჰელმგოცის** ტვინი; მაგრამ მაინც გიმალაის მთები მკვდარია ტვინმა კი ხსენებულ სწავლულთა ბევრი შესანჩნევი რამ აღმოაჩინა. მაგრამ ამ მსჯელობის საძირკველში სძევს ტლანქი სიცრუე. ძალთა ურთიერთ დამოკიდებულებას დიდი მნიშვნელობა ფიზიკურ ქვეყანაში აქვს, სადაც რაოდენობა ერთი მხრით მიმართულ ძალთა უდრის მათ ჯამსა, რაოდენობა კუთხებ ქვეშ მოქმედ ძალთა ნაკლებია მათი ჯამისა და რაოდენობა ერთმანერთის წინააღმდეგ მიმართულ ძალთა უდრის მათ განსხვავებას. მაგრამ სულიერ ქვეყანაში, სადაც ძალნი თანასწორნი არიან და შეიძლება ვსთქვათ, მოქმედებენ ერთი და იგივე მხრით, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს სივრცეში მათ განწესრიგებას. მოსაზრება ამ განწესრიგების მნიშვნელობაზე აქ ისე მოუხერხებელია, როგორც მოსაზრება განწესრიგების მნიშვნელობაზე კრილოვის ცნობილ „კვარტეტში". ფართო ურთიერთ შორის დამოკიდებულება არის მოვლენა წმინდა ფორმალური ხასიათისა და მისგან პიროვნების გამოყვანა უფრო ნაკლებ მისაღებია, ვინემ მატერიის მოძრავობიდან პიროვნების გამოყვანა.

ფ—პე სი—ძე.

შემდეგი იქნება.

ეოვლადსამღვდელო ლეონიდის მოგზაურობა სამეგრელოს ეკლესიების დასათვალიერებლად.

გაგრძელება*)

კურძუს ეკლესია ყოფილა დადიანების კარის ეკლესია და შემდეგ, როდესაც დადიანებს თავიანთ მამულ-დედული გაუყიდიათ, ეს ეკლესია უფასოთ დაუთმიათ მრევლისთვის. ეკლესიას არა უშავს რა, თუ საშიში არ არის ის გარემოება, რომ კედლები ალაგ-ალაგ გამსკდარია.

ეწერის ეკლესიის თვალსაჩინო ნაკლულევანებას შეადგენს უვარგისი ხატები და სინოტიე იატაკისა.

*) იხ. შინ. საქ. № 20.

აგვისტოს ხუთს მისმა მეუფებამ დაათვალიერა წაჩხურის, სალხინოსი და თამაკონის სამრევლო ეკლესიები. წაჩხურის**) ეკლესია ნაშთია უხსოვარი დროისა. იგი დღეს სრულებით გამოუსადეგარია მრევლისთვის, რადგანაც მრევლი მთიდან დაბლა ჩამოსახლებულა და დაშორებია ეკლესიას ისეთი მანძილით, რომ მისი გავლა კაცს მარტო ღვთის აღთქმისა და მოღვაწეობის სურვილით შეუძლიან.

დაუჯერებელია, რომ წაჩხურის მღვდელი, გარდა მეტად იშვიათი შემთხვევისა, სწირავდეს როდისმე თავის ეკლესიაში; და საღამოს ლოცვა და ცისკარი ხომ აქ კი არა, ბევრგან სხვაგანაც სრულებით აღარ სრულდება.

წაჩხურის ეკლესიის შტატი ყოვლისავე მიზეზის გარეშე ან უნდა სულ გაუქმდეს და მრევლი მიეწეროს მეზობელ ეკლესიებს, ან დაბლობში მრევლის მისაწდომ ალაგს აშენდეს ახალი ეკლესია. ამაზე ფიქრი და ზრუნვა ადგილობრივი მღვდლის ზნეობრივ მოვალეობას უნდა შეადგენდეს, მაგრამ, როგორც სჩანს, ეს გარემოება მას დიდათ არ აწუხებს.

ს. სალხინოს ხის ეკლესია მოწყობილობით ყოვლად ღარიბია, თუმცა მრევლი დიდი და შეძლებულია. მისმა მეუფებამ მწარედ ამხილა მრევლს ეკლესიაზე გულგრილობა და დაბეჯითებით მოსთხოვა ადგილობრივ ბლაღოჩინს, რომ სულ მოკლე დროში შეეძინა მრევლს შესაფერი ბარძიმ-ფეშხუმი, რადგანაც შეუძლებელიღაა თითბრის ძველი, ჩაჟანგებული ბარძიმის ხმარება.

მარიამობისთვის ხუთს საღამოს ლოცვა და ცისკარი ყოვლადსამღვდელომ მოისმინა პირველი თამაკონის მრევლის ეკლესიაში, ხოლო წირვა ფერიცვალების დღეს მეორე თამაკონის საყდარში. ეს ორივე შტატის ეკლესიები მათი ზედმიწერილი საჯვარეებით მთლად მოუწყობელი და ყოვლისფრით ღარიბები არიან. თითონ თამაკონის საზოგადოებას ბუნება მთიანი, უგზო, მწირი და უნაყოფოა. ხალხი მოკლებულია ყოველგვარ კულტურულ დაწესებულებას და მწარე სიღარიბეს განიცდის. რას მოსთხოვ ხალხს, რომელიც მუდამ წამს არსებობის ლუკმის შოვნისთვის იწურება ოფლში!

საცა სამართალია ამ ეკლესიების მღვდლებს ორმაგი ჯამაგირები უნდა ჰქონდეთ და, დღეს კი, საბრალისები, უბრალო ჯამაგირებსაც მოკლებულნი არიან.

ს. ნამკოლოუს ქვითკირის ეკლესია მეტად ვიწრო, ბნელი, უსუფთაო და ღარიბულად მოწყობილია. ვიწროა აგრეთვე ეკლესიის ეზო და ამის გამო ბევრი უსიამოვნება იბადება ხოლმე მიცვალებულის დასაფლავების დროს.

ეკლესიას მისავალი გზა არსაიდამ არა აქვს და მლოცველებმა წირვაზე მოსასვლელად უნდა ხნულებზე იარონ. მღვდელი არ ცხოვრობს მრევლში და ყველაფერი ნათლად ამტკიცებს მის გულცრობას და დაუდევრობას. დანგრეული, ფანჯრები ჩალეწილი და გაპარტახებული შენობა სამრევლო შკოლისა გულასანღვრევ სანახავობას წარმოადგენდა და მისი მეუფება დიდათ გაუწყრა მღვდელსაც და მრევლსაც.

ამავე მრევლში არსებობს ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, რომელიც თავისი მოხდენილი შენობით და უფრო კი ხეხილის ძვირფასი ბაღით მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. ამგვარი სასწავლებლები რომ გამრავლდებოდნენ სამეგრელოში, მცხოვრებლების დღევანდელი ღარიბული მდგომარეობა ჩქარა სასურველად შეიცვლებოდა.

ს. ჟინოთის ეკლესია (ნაქალაქევის საბლაღოჩინო ოლქისა) ხისაა, იგი დაბალი და უხერხულია. მრევლს, როგორც ადგილობრივმა ბლაღოჩინმა გადმოგვცა, უკვე განაჩენი შეუდგენია, რომ ეკლესია შეაკეთონ და, რაც კი რამ აკლია, ყველაფერი მოიპოვონ. ხსენებულ ეკლესიას ზედმიწერილი საჯვარეცა აქვს. საჯვარეს 135 კომლი ახლავს და საკუთარი შტატის დაარსება აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. სამწუხაროა, რომ ჟინოთის მღვდელს მის მრევლის თვალში ვერა აქვს დამსახურებული სათანადო პატივისცემა და გავლენა.

7 აგვისტოს დათვალიერებულიქნა კიწიის სამი ეკლესია: მთავარანგელოზისა, ფერის-

**) ცივი, გრილი წყალი.

ცვალებისა და წმ. გიორგისა, მთავარანგელოზის ქვითკირის, მოხდენილი გეგმის და ხის ბუმბათიანი ეკლესია სულ ახალ დროშია აშენებული და მისი წინამძღვრის, დეკ. კოდრატე ჩაჩიბაიას მეცადინობით ჩინებულათაა ყველაფრით მორთულ-მოკაზმული. მეორე კიწიის ეკლესია ხისაა და ღარიბადაა მოწყობილი: ხსენებული ეკლესიის მთავარ ნაკლულევანებას შეადგენს ხატების უვარგისობა. „ეს მეორე შემთხვევაა, უბრძანა ყოვლადსამღვდელომ მრევლს, რომ გემუსაიფებით ამ თქვენ სალოცავში, როგორც პირველად, ისე ეხლაც იმას გთხოვთ და გევედრებით, რომ უსათუოდ იზრუნოთ თქვენი ეკლესიის გამშვენებაზე. თქვენს ეკლესიას ასახიჩრებს და ლაზათს უკარგავს ეს უგემური მხატრობა; საშიშია, რომ თქვენ მთლად არ შეგძულდეთ წმიდანების სახის დანახვა. ხატები უსათუოდ უნდა გადაასწორებინოთ მცოდნე პირს. მართალია, ეს ხარჯს გამოიწვევს თქვენი მხრით, მაგრამ ასეთ საღმრთო და სასარგებლო საქმეში ხარჯის გაწევა სასინანულო არ არისო....

მესამე კიწიის ეკლესია ამ წელიწად ნახევრის წინ დაწვა კიწიაშივე მცხოვრებელმა ერთმა გაურწმუნოებულმა გლეხმა. ხალხი მაშინვე გაიყო დასებად. მრევლის სულ მცირედი ნაწილი თხოულობდა ეკლესიის აშენებას ისევე იქ, სადაც ძველი ეკლესია იდგა, დიდმა უმრავლესობამ კი სულ ახალი ალაგი აირჩია.

ეპისკოპოსმა დაამტკიცა უმრავლესობის დადგენილობა. წასულ ზაფხულს დამწვარი ეკლესიის გადანარჩენი 20—25 ფიცარი გადაიტანეს ახალ არჩეულ ადგილზე. ეს არ მოსწონებიათ ძველი ეკლესიის მოსარჩლეებს, უპოვნიათ ვიღაცა „მოსე მწერალი“ და უფრენიათ ტელეგრამა კანტორაში: ეპისკოპოსისა და ბლაღოჩინის ბრძანებით კიწიაში არღვევენ ძველ ტაძარს, გთხოვთ უბრძანოთ ვისაც ჯერარს, რომ შეაჩერონ ტაძრის დანგრევა და გამოიძიოთ საქმის ვითარებაო.

კანტორასაც სიმართლეთ მიუმჩნევია ტელეგრამაში მოყვანილი ამბავი და დეპეშითვე უბრძანებია ეპისკოპოსისთვის: დაუყონებლივ ინებეთ შეჩერება კიწიის ტაძრის დარღვევისა და საჩქაროთ გვაცნობეთ საქმის ვითარებაო. ყოვლადსამღვდელოს დაწვრილებითი მოხსენებიდან კანტორა დარწმუნებულა მოყვანილ დეპეშის შინაარსის სიყალბეში და წინანდელი დადგენილობა მრევლისა ეკლესიის ახალ ალაგზე აშენების შესახებ დაუტოვებია ძალაში.

N.

შემდეგი იქნება.

სინამდვილე და ოცნება.

რეფერატი ლ. ნათაძისა.

არიან ადამიანები, რომლებსაც ერთბაშათ უნდათ დაიმსახურონ მეცნიერ-ფილოსოფოსის სახელი. მაგრამ, თითქო განგება დასცინისთო, სტყუვდებიან მოლოდინში და სრულებით წინააღმდეგ სახელს იმსახურებენ. ასეთი ადამიანების განმასხვავებელი ნიშნადობლივი თვისება ის არის, რომ იგინი თავის მეცნიერულ პირველ გამოსვლისათანავე ხელს კიდებენ პირველ ხარისხოვან საყოველთაო, სამარადისო საკითხებს, ხელს კიდებენ იმ მიზნით, რომ დაამსხვრიონ, დალეწონ და გაანადგურონ არსებული პასუხები მათზე და მით აჩვენონ თავის გონების სიძლიერე, თავის ჭკუის სიმახვილე და თავზე დააჯდენ არა თუ კერძო პირებს, რომლებსაც ღრმათ შეუსწავლიათ საგანი, არამედ მთელ კაცობრიობას, რომელსაც არ ახსოვს თავი, რომ სხვა აზრის ყოფილიყოს წამოყენებულ საკითხებზე.

ასეთი ბედი ეწია 27 მაისის რეფერენტს ბ. ლეონ ნათაძეს. მან დაიმსახურა სახელი მაგრამ არა ისეთი, როგორსაც ელოდა, არამედ სრული უვიცისა თუ არა, მაძიებელ, მბორგავ ადამიანისა მაინც, რომელსაც პირველი აზრის გაელვება უკვე დამტკიცებული ჰეშმარიტება ჰგონია და ისწრაფის არავინ მოასწროს მისი გამომჟღავნება, რომ პირველობა მას დარჩეს და არა სხვას.

სამწუხაროთ ხელთ არა გვაქვს ბ. ლ. ნათაძის რეფერატი და ნება-უნებლიეთ იმით უნ-

და ვისარგებლოთ, რაც გავიგეთ და გამოვიტანეთ ავტორის წაკითხულიდგან.

პირველი, საზოგადო და უმთავრესი ნაკლი ბ. ნათაძის რეფერატისა გახლდათ მისი (რეფერატის) ტენდენციოზური, ხასიათი წინდაწინვე დასახულ მიზნის გამართლება. ამიტომ მას ფაქტებიდან კი არ გამოუდიოდა აუცილებელი დასკვნა, თვით ფაქტებს აგროვებდა ისე, რომ გაემართლებია თავის ტენდენცია. მერე რა ფაქტებს!? ლიტერატურულ ტიპებს, რომელნიც, რაც უნდა იყოს, რომანისტების სუბიექტურ სულის კვეთებას უფრო გამოხატავენ, ვიდრე სინამდვილეს. ამას არც თვით რეფერანტი მალავდა; იგი ხშირად იმეორებდა ,,ეს (ფაქტი ანუ ტიპი) სავსებით ამართლებს, ჩემს აზრს, ჩემს შეხედულებას ამ საგანზეო'' და სხვა ამისთანეები. რა იყო რეფერატის აზრი, რა უნდოდა, რომ დაემტკიცებია მას თავის რეფერატით? ის, რის დამტკიცებაზედაც კბილებს ინტვრევენ მისი წრის ადამიანები, ის, რომ რელიგია ოცნების შვილია, სარწმუნოება ადამიანის შეთხზულია და მაშასადამე ყოველივე ზესთაბუნებრივი ჭორია და ოცნება.

ადამიანის სისუსტემ და დაუკმაყოფილებლობამ წარმოშობა რელიგიაო. რაც ადამიანს აქ არ აკმაყოფილებდა, რა სიამოვნებასაც აქ მოკლებული იყო, ოცნების ძალით ის იქ,საიქიოს, გადაიტანა და ამ ნაირათ შეიქმნა რელიგიაო,—აი დედა აზრი ბ. რეფერენტისა. ტყუილია ეს დედა აზრი, უაზროა იგი და ვერაფერი ფილოსოფიური რეფერატი ვერ გაამართლებს არსებითად მტყუან და უნიადაგო აზრს. ჯერ ერთი რომ სიტყვა წარმოშობა ან შექმნა სრულებით არ შეეგუება რელიგიას. როდის წარმოიშვა ან გაჩნდა რელიგია? განა შეიძლება ასეთი საკითხი დაისვას? თუ ეს საკითხი კანონიერია და მაზედ პასუხი შესაძლებელია, მაშ შეიძლება ესეც ვიკითხოთ, როდის დაიბადა გრძნობა შიმშილისა, წყურულისა, სიცივისა, სიცხისა, შიშისა, სიხარულისა, სიყვარულისა და სხვა და სხვა? განა ეს გრძნობები დამოკიდებულია ადამიანის ნებაზე? განა შეიძლება ადამიანმა ისურვოს, ინებოს და დაიბადოს ეს გრძნობები? თუ იგინი, როგორც გრძნობები, თანშობილი არიან ადამიანისა და არა მისი შექმნილი. დაგვეთანხმება ბატონი რეფერენტი, რომ რელიგია იგივე გრძნობის მხარეა, დაგვეთანხმება, რომ არის რელიგიური გრძნობა, და როგორც გრძნობა, იგი თანშობილია და არა შემდეგ შენაძენი ან შეტანილი გარედან. უკმაყოფილებას, შიშს, უსიამოვნებას კი არ დაუბადებია რელიგიური გრძნობა, წინაალმდეგ რელიგიურმა გრძნობამ, გრძნობამ საუკეთესო ცხოვრებისა, დაბადა უკმაყოფილება თანამედროვე ქვეყნიერ ცხოვრებისადმი. და არც მოიშლება ასეთი უკმაყოფილება, სანამ რელიგიური გდძნობა არ აღმოიფხვრება ადამიანის გულში, და რადგან ამ გრძნობის, როგორც გრძნობის და არა გარედგან მიწეპებული შემთხვევითი თვისების, აღმოფხვრა არ შეიძლება, არ შეიძლება მაშასადამე ისეთი წესწყობილების შექმნაც, რომელმაც საბოლოოთ უნდა დააკმაყოფილოს ადამიანი. ცხოველები მოკლებული არიან რელიგიურ გრძნობას და ამიტომ იგინი ხომ კმაყოფილიც არიან თავის მდგომარეობის და არ ფიქრობენ ცხოვრების გაუნჯობესებაზე. შეიძლება ვილაპარაკოთ კულტის, ე. ი. ამა თუ იმ რელიგიის ღვთისმსახურების ფორმების წარმოშობაზე. მაგ. შეიძლება ვიკითხოთ და უპასუხოთ: როდის წარმოიშვა ზენდავესტის, ბუდდას, მახმადის რელიგიური კულტი, გარეგანი ფორმა ღვთის მსახურებისა. მაგრამ ეს ხომ რელიგია არ არის, ეს ხომ სარწმუნოების არსებას არ შეადგენს, ეს ხომ შემთხვევითი თვისებაა ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, გამომეტყველებაა შინაგანი რელიგიური გრძნობისა.

ტყუვილია ისიც, რომ ოცნება შემოქმედებითი ძალაა. ოცნება არაფერს არ ქმნის, არაფერს არ ბადებს, იგი მხოლოდ აერთებს და აკლებს, იგი მხოლოდ ამუშავებს მას, რასაც ხუთი ცნობილი გრძნობა—მხედველობა, სმენა, შეხება, გემოვნება და ყნოსვა—იძლევა. ამის მეტს ოცნება, ფანტაზია ვერაფერს ვერ ქმნის, ვერაფერს ვერ შობს. აი რას შერება ფანტაზია ანუ ოცნება უმეტნაკლოთ. მას არ შეუძლია და ვერ შექმნის ისეთ მაღალ ზესთაბუნე-

ბრივ საგნებს, როგორიც არის მაგ. ქრისტიანობის ღმერთი, სული, უკვდავება, ცოდვისაგან გამოხსნა, უთესლოთ განხორციელება, მკვდართა აღდგომა და სხ. თუ ეს ფანტაზიის საქმე იყოს, მაშინ მაღალ განვითარებულ ბერძნებსაც და რომაელებსაც ხომ ეცოდინებოდათ თავის დროზე ესენი? მაგრამ აბა კარგათ ჩაიხედეთ ამ ხალხების რელიგიის ისტორიაში, მართლა და ამ ადამიანის ოცნების ნაწარმოებში! აქ აშკარათ დაინახავთ თქვენ, თუ რამდენათ უძლურია ფანტაზია ბუნებრივ საგნების სფერაშიაც კი გასცილდეს უბრალო მდაბალ ხარისხოვან წარმოდგენებს*)

ტყუილია აგრეთვე ისიც ვითომ რელიგია თავის კმაყოფილებისთვის მოეგონებიოს ადამიანს. ბევრ რელიგიაში და ქრისტიანულშიაც არიან ისეთი რწმენანი, რომელნიც სრულებით არ აკმაყოფილებენ ადამიანის კმაყოფილების, ბედნიერების მოთხოვნილებას. მაგალ. ავიღოთ სულის გადასახლება. განა ძალიან სასიამოვნო წარმოსადგენია ადამიანისთვის ეს დაულევნელი მოგზაურობა სულისა სხვა და სხვა ცხოველებში და მცენარეებში. მგონი არავისთვის სასურველი არ იყოს რომელიმე ძაღლის, კატის, გველის, თუ გინდ ლომის სხეულში ჩასახლება. მგონი არავის ესიამოვნოს პირმეტყველ გონიერ არსებიდან, პირუტყუულ, უგუნურ და უგრძნობელ არსებად ქცევა. ქრისტიანების ჯოჯოხეთი?! ვისთვის რა სასიამოვნოა „ცეცხლი დაუშრეტელი და მატლი დაუძინებელი“, „ბნელი გარესკნელი, ტირილი და ღრჭენა კბილთა;“ რა სიამოვნებაა მაგალითად ცეცხლის თაყვანისმცემელთა თვით გვემაში. სჩანს, ადამიანის სიამოვნებასაც არ შეუქმნია რელიგია, სჩანს, რელიგიაში უსიამოვნოც ბევრია ადამიანისათვის.

ამ ნაირათ ტყუილია დედა აზრი ბ. ნათაძისა და ტყუილა დაიღალა და საზოგადოებაც, თუმცა ძალიან მცირე, დაღალა ლიტერატურული მაგალითებით, რომლებიც ბევრს არაფერს ამტკიცებენ.—

*) დაწვრილებით ამ საგანზე იხ. ჩვენი წიგნაკი „ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში“.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

რუსეთის ეკლესია.

ამ მოკლე ხანში რუსეთის ეკლესიამ ბევრი დეფექტები წამოაყენა. ეს დეფექტები ამტკიცებენ, განსაკუთრებით შავით მოსილ, სამღვდელოებაში სარწმუნოებისა და ზნეობის დაცემას. გასაკვირვალია, რომ უმაღლესი სასულიერო მართებლობაც თითქო ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამ გარემოებას და დამნაშავეებს ადგილზე სტოვებს სრულებით დაუსჯელს, ხანაც კიდეც აჯილდოებს, როგორც მაგ. ჩვენში დააჯილდოვა ცნობილი ნახარებოუს მონასტრის ბერ-მონაზონი.

ამას წინათ ილიოდორმა შექმნა ერთი აურზაური და მთელი ორი სამი წელიწადი ფეხქვეშ თელა მართლმადიდებელი ეკლესიის პრინციპები, შემდეგ გამოჩნდა რასპუტინი,—ეს სასირცხო ხორცმეტი რუსეთის ბერობისა, ეხლა კიდევ არხიმანდრიტი მაკარი გნევუშევი და მისი საქმენი საგმირონი მოსკოვის ნოვოსპასსკის მონასტერში და იღუმენია ანტონინა და საჭურისი დაი ვასიუტა. ეს სულ ისეთი ფაქტებია, რომლის არსებობა კაის არაფერს მოასწავებს. ჩვენ გვგონია ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი ასეთი მოვლენისა დიდი ჯამაგირებია, რომლის მეოხებით სულიერი მამები ნებივრობენ და უფრო ხორციელ ცხოვრებას ეწევიან. არხიმანდრიტ მაკარ გნევუშევს მაგალითად წელიწადში 15 ათასი მანეთი ჰქონია, რომელიც უწ. სინოდს მისდა დასასჯელათ ორი ათასი მანეთით შეუმცირებია, ასე რომ ეხლა განევუშევს მხოლოდ ცამეტი ათასი მანეთი დარჩენია წლიურ ჯამაგირათ (?!).

ასეთსავე მდგომარეობაში ყოფილა დედა იღუმენია პოკროვკის დედათა მონასტრისა ანტონინა, რომელმაც საჭურისის სახელით ვიღაც მაწანწალა გარმონიკების მოხელეს ადგილი მისცა თავის მონასტერში, მონაზვნის ტანისამოსი ჩააცვა და თელი ოთხი წელიწადი შეინახა.

როგორც ერთზე, ისე მეორეზედაც საჩივარი ყოფილა აღძრული, მაგრამ მათ სასარგებ-

ლოთ დამთავრებულა. საზოგადოება მაინც არ ეშვება საქმეს და უმაღლეს სახელზე საჩივრის გაგზავნას იმუქრებიან. ვნახოთ რით გათავდება საქმე.

— —

„С-Петер. В"-ში ნიკოლოზ დურნოვო ჰკიცხავს ობერპროკურორს საბლერს, რომელიც ზოგიერთ ღირსეულ ეპისკოპოსებს უყურადღებოთ სტოვებს, მიუხედავათ იმისა, რომ ზოგ მათგანს 9-10 წელიწადია არაფერი ჩინი არ მიუღიათ. სხვათა შორის ყ-დ სამღვდელო ლეონიდსაც იხსენებს ბატ. დურნოვო და ამბობს, რომ ეს შესანიშნავი მქადაგებელი მღვდელმთავარი ცხრა წელიწადია არაფრით არ დაჯილდოებულა, რადგანაც დამონებულ საქართველოს ეკლესიის უფლებებს იცავსო. უნჯობესი იქნებოდაო, განაგრძნობს ავტორი, რომ ბ. საბლერს ერთი ეპისკოპოსიც არ წაედგინა ჯილდოზე, რადგან ღვთის საქმის მაკეთებელ ეპისკოპოსების დაფასება მხოლოდ ერთ ღვთაებრივ მწყემსმთავარს, ქრისტეს, შეუძლია და კიდევ პირუთვნელ უფლებამოსილ ეპისკოპოსთა კრებასო. ხოლო რა სამსახურს უწევენ ეკლესიას ჩვენი პოლიტიკური მოღვაწე ეპისკოპოსები საქართველოსა და ბესარაბიაში ჩვენ არ ვიცითო. ვიცითო მხოლოდ, რომ ისინი ღვთის საქმეს არ აკეთებენ და ამიტომ ელიან ქვეყნიურ ჯილდოებს, რადგან ზეციურის იმედი არ აქვთო.

უდიდესი ბოროტებაა, ავტორის აზრით, ეკლესიისათვის, როცა მღვდლებს და ეპისკოპოსებს აჯილდოებენ, რაც ბადებს ამპარტავნებას და პატივის მოყვარებასო. ჩვენი სამღვდელოება ისე დაშორდა ბერძენაღმოსავლეთის ეკლესიას და შეიყვარა ქვეყნიური ჯილდოებიო, რომ ღვთის ეკლესია სრულებით დაავიწყდაო. საჭიროა მომავალ საეკლესიო კრებაზე საერო წარმომადგენელებმა ხმა აიმაღლონ ეკლესიის მღვდელმსახურთა დაჯილდოების წინააღმდეგო.

— —

„Рус. Вѣд." შესაძლებლათ მიაჩნია სამღვდელოების ჩარევა სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ სრულიად უარყოფს განსაკუთრებულ მღვდელთა პარტიის არსებობას.

ეკლესიურ ავტორიტეტს თავის სასარგებლოთ იყენებენ სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციებიო. ეკლესიის ინტერესები, რაც უნდა ვიწროთ გვესმოდეს იგინი, უნდა გვაიძულებდენ, რომ ბოლო მოეღოს ამ ურცხვ ეკსპლოატაციას და ეკლესია დასდგეს ყოველგვარი პარტიის გარეშე.

ხოლო ეს იმას არ ნიშნავს, რომ სასულიერო წოდების რუსის მოქალაქენი თლად უნდა გაშორებულ იქმნენ პოლიტიკურ ცხოვრებას. ასეთ მოთხოვნას სრული საბუთი ექნებოდა შავით მოსილთა მიმართ, რომელთაც უარყვეს ქვეყნიერება. გარნა თეთრით მოსილი სამღვდელოება, რომელიც ერთა შორის ცხოვრობს, ერთ და იმავე პირობებში, რომელიც დაკავშირებულია მათთან ბევრ სხვადასხვა ინტერესებით, ბევრ შემთხვევაში არ შეიძლება უბირათ დარჩეს საზოგადო ცხოვრებისაგან, და, მაშასადამე პოლიტიკური ცხოვრებიდანაც. გარნა მათი მონაწილეობა ამ ცხოვრებაში უშიშარი უნდა იყოს ეკლესიისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სასულიერობის პოლიტიკური მოქმედება იქნება თავისუფალი, ინდივიდუალური და განყოფილი მისი სულიერი ფუნქციებისაგან, როცა ეკლესია, როგორც ასეთი, როგორც ერთი მთელი, პოლიტიკურ ბრძოლაში ნეიტრალიტეტს შეინახავს, დაე მღვდლებმა მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში და ისხდენ პარლამენტში, მაგრამ არ შეიძლება და არ უნდა იქნეს მღვდელთა პარტია, რადგან პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი ჩარევა მართლდება მხოლოდ მით, რომ იგინი არა თუ მხოლოდ ეკლესიის წევრნი არიან, არამედ საერო საზოგადოების წევრნიც.

სხვა საზოგადოების ცხოვრებაში მწყემსთ, როგორც ასეთებს, არ შეუძლიათ გამოეყონ სამწყსოს, არ შეუძლიათ მათ ინტერესს დაუპირდაპირონ თავის ინტერესები, არ შეუძლიათ ესა თუ ის ნაწილი თავის სამწყსოისა გამოაცხადონ თავის პოლიტიკურ მტრებათ. ეკლესია თავის იდეით არის საზოგადო საკაცობრიო კავშირი. მას არ უნდა ყავდეს საყვარელი ხალხები, მართველობის საყვარელი ფორ-

მები. მისთვის არ არის „ბერძენი და ებრაელი“. მასში ადგილი უნდა ჰპოვონ ყველა მორწმუნეებმა, „ყველა მაშვრალმა და ტვირთ მძიმემ“, რომელ პარტიას, ხალხს და საზოგადოების წრესაც არ ეკუთვნოდენ ეგინი.

შინაური მიმოხილვა.

დასასრული.*)

ამ ჩემს აზრს ამტკიცებს ისეთი ფრთხილი პროფესორი, როგორც ნიკო მარია. „რუსეთს თვისი ნებით შეუერთდა არა კავკასიის აქეთა მხარე და ქართველთა არა რომელიმე თემი, არამედ საქართველოს სამეფო. საქართველოს სამეფოს საზღვრები კი იყო საკმაოდ ვრცელი და იმათი გამორკვევა, რომელიც წარმოადგენს ერთს უდიდეს თეორეტიულ სამეცნიერო ინტერესს,—**ძალიან ძნელი საქმეა** (კურსივი ჩემია). მაგრამ რეალურ-ისტორიული თვალსაზრისით რომ განვიხილოთ საგანი, ტერიტორიალური თვით-გამორკვევა ქართველი ერისა ცხადია: საზღვრები ქართველთა რეალური მიწა-წყლისა და მასზე მოსახლე ქართლოსიანთა ერის შვილებისა სრულიად ნათელია, იმათი ცოდნა ყველასთვის ადვილია“**)

აი, სწორეთ ის მიწა-წყალი, რომელიც დასახლებულია დღეს ქართველობით, ხელუხლებელად უნდა შეინარჩუნოს მან სამერმისოდაც, თუ არ უნდა, რომ ეკონომიურად სრული განადგურება ხვდეს მას წილად...

ქართველების რიცხვი, შედარებით, ძალიან გაიზარდა მას შემდეგ, რაც მყუდროება და მშვიდობიანობა ჩამოვარდა ჩვენში. ამიტომაც, დღეს თვისი ძვირფასი სამშობლოს მიწა-წყალი აღარ ყოფნის მიწის მუშა ქართველობას და სხვა, უცხო ქვეყნებში მიილტვის დასასახლებლად.

აგერ, ოცდაათი წელიწადია, რაც რაჭის ღონიერი და ნიჭიერი ხალხი, სადაც საკენი მიწაც კი მამასისხლად იყიდება, დაიძრა და მთელი მოსახლობით მიაშურა კავკასიის ჩრდილოეთს, და იქ თერგის ოლქში საარსებო ლუკმის მიმცემ მიწას დაეძებს.

გურია მიწის სივიწროეს, სად გაექცეს, არ იცის. იმის შვენიერი შვილების ახალგაზდობა მოედვა შავი ზღვის ბოლაზ ადგილებს სამუშაოდ, რომ ორ გროშს თავი მოუყაროს და სამოსახლო მიწა-წყალი სადმე აიჩინოს, მერე ოჯახობას მოეკიდოს და საარსებოდ ლუკმა პური სჭამოს

ზემო იმერელი, ყვირილის, ძირულის და ჩხერიმელის ხეობათა მიწის მუშა ხალხი დიდი ხანია მოედვა ზემო ქართლს, ბორჯომის ხეობას და ახლა კახეთში, გაღმა მხრის მხარეს, კობალზე ეძებს მდიდარ მიწა-წყალს, სადაც რამდენიმე სოფელი უკვე გაშენდა ამათგან. ესევე ამბავი ხდება ქიზიყშიაც, თუშეთშიაც, ხევსურეთშიაც, ფშავლეთშიაც, რომელთაც ამასწინათ თფილისის გუბერნატორის წინაშე აღძრეს საკითხი, რომ შირაქის ველი რუსეთიდან გადმოსახლებულებისგან არ გაშენდესო, რადგან უძველესი დროიდან ამ მინდვრის მეტი საძოვარი იმათ საქონელს, ძროხასა და ცხვარს არ გააჩნია.

სვანეთს და ლეჩხუმს მიწის სივიწროვე, მასთან უგზო-უკვლობა აღრჩობს და მთელი წლის განმავლობაში იქაური მკვიდრი თითქმის დამშეულია.

რაც შეეხება ოდიშის მხარეს, აი, რა შემიმჩნევია მე ამ ორმოცი წლის განმავლობაში: გათავისუფლდა თუ არა სამეგრელოს მთა-გორებზე მცხოვრები ყმობისგან, მაშინვე მან მუაშურა იმერეთს, უფრო ქუთაისის მაზრას, სადაც სოფელიც კი არ დარჩენილა, რომ იქიდან გადმოსახლებული ოკი და ოცდახუთი მოსახლე მაინც არ იყოს დამკვიდრებული...

მეორე მხრით, მეგრელი კაი ხანია სამოსახლოთ მიიწევს აფხაზეთისკენ, ძველი საქართველოს მდიდარი მიწა-წყლის კვლავ სიცოცხლისკენ გამობრუნებას ცდილობს, სადაც ფუტკარივით მოედვა რუსობა, სომხობა და ბერძნე-

*) იხ. „შინ. საქ.“ № 20.

**) „Къ Грузинскому вопросу“. Проф. Н. Марръ.

ბიც, და მეგრელების იქ, ჩვენს აფხაზეთში დასახლება, წარმოიდგინეთ, აკრძალულია.

1894 წ., როცა საქართველოში სახელმწიფო ქონების და მიწად-მოქმედების მინისტრი ერმოლოვი ჩამოვიდა, მაშინ ოდიშის მცხოვრებლებმა არზა მიართვეს მას და სთხოვეს, ნება გვიბოძეთ აფხაზეთის დაცალიერებულ ადგილებზე დავსახლდეთო. მინისტრმა უარი უთხრა მათ: „მე თქვენთვის აქ ადგილი არა მაქვს. ეს ადგილები რუსებისთვის არის დანიშნულიო“.

ახლა ესეც ვიკითხოთ, რა საბუთებით ამართლებენ ამ პოლიტიკას? ვითომ იმითი ასაბუთებენ, რომ აფხაზეთის მიწა-წყალი რუსების სისხლით არის მორწყულიო. ავიწყდებათ, რომ რუსებთან ერთად ქართველების სისხლიც უზომოდ იღვრებოდა და რუსობას ამავე დროს არც ქართველობა ჩამორჩენია ხომ. მაგრამ ამ გარემოებას, თუ იმათ ნებავთ, ნული ჩავუგდებთ ქართველებს პატივში. ისტორიას რატომ-ღა ივიწყებენ. განა მთელი ათასხუთასი წლის განმავლობაში ქართლოსიანთა ერის შვილების სისხლით არ ირწყოდა მთლათ აფხაზეთი? და რატომ მერე? იმიტომ, ბატონებო, რომ აფხაზეთის მიწა-წყალი იმ თავითვე უძვირფასესი სამშობლოა ქართველისა.

მაგრამ, ვიცით კარგად, რომ ისტორიული უფლება მოუხეშავ ძალას არა სწამს და მაშ, სხვაფრივაც შევხედოთ საგანს.

ძალიან კარგათ მოგეხსენებათ, რომ რუსი, რამდენიც გადმოასახლეს აფხაზეთში, იმდენი გაწყდა ცოლ-შვილიანა და საქონლიანა, რადგან რუსის ბუნებამ ვერ აიტანა აფხაზეთის ჰავა და ნიადაგზე ცხოვრება. ეს დამტკიცდა უტყუარი საბუთებით. ამავე დროს, იმავე უტყუარმა გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ჩვენი კაცი, ნამეტურ მეგრელი და ხონელი აფხაზეთში ზედგამოჭრილი მოახალშენეა.

გარდა ამ ხალხთა შეუკავებელ მოწოლისა ჩრდილოეთის მხრივ, ქართველობას დიდი განსაცდელი მოელის დასავლეთის და სამხრეთის მხარეებიდანაც, საიდანაც სომხები, ბერძნები და ბისორები (ძველი სირიელები) დიდ ხანია აწვებენ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიას და თან-და-თან იპერენ მის მდიდარ ნიადაგს, რომ საარსებო პური მოიპოვონ ცხოვრებაში.

ამავე დროს ნორმალური ეკონომიური ვითარების წყალობით სოფლის ბევრი ქართველი მემამულე იძულებულია უცხოელზე გაყიდოს თვისი მამა-პაპისგან შერჩენილი მემკვიდრეობა, რადგან ქართველი ტეტია იმ იმედით, რომ დიდი ხელმწიფე იმპერატორი სულ მუქთად უწყალობებს თავადების მიწა-წყალს, ამ უბედურს, რომ ქონდეს ფული მიწის საყიდლად, მაინც არ ნაღვლობს იმას, რომ სხვების, გადამთიელთა ხელში თან-და-თან გადადის იმის მრავალ ტანჯული მამულის მიწა-წყალი...

ამას წინათ ეს უკანასკნელი გარემოება შეიქნა მიზეზი ჩვენი ჟურნალ-გაზეთების და ინტელიგენციის დიდი გამოფხიზლებისა და ატყდა ერთი უშველებელი ჩვენებური „ლაპარაკი“. ზოგი, რა მიზნებს ისახავდა, თითონაც არ იცოდა, ზოგი კიდევ საზოგადოებათა და დიდი საერო ბანკის დაარსებას ურჩევდა ქართველობას, რომ უმამულო ხალხი თავისუფალ მიწა-წყალზე დაესახლებინათ. დაარსდა კიდეც, მგონია, თფილისის თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში კომისია, მაგრამ ეს კომისია, რომ ვერაფერს გააკეთებდა, ადრეც უნდა გვცოდნოდა...

პატივცემული „თემის“ (№ 70) რედაქცია სწერს: „ინტელიგენციას უნდა ეზრუნა სოფლის და დიდ ბანკების დაარსებისთვის, სადაც ადვილად მოიპოვებდენ კრედიტს მიწის შესაძენად გაჭირებული სოფლელნი“.

„თემის“ გულწრფელ, ნიჭიერს რედაქტორს უნდა მოვახსენო, რომ სხვა ქართველი ჟურნალისტების აყოლა ამას არ არგია და ინტელიგენციას ჩვეულებრივად ამისთანა დიდ საერო საქმეში ნუ მიმართავს ხოლმე.

ქართველ ინტელიგენციას ათასი ძვირფასი, მიმზიდველი სურვილებიც რომ ქონდეს, მაინც პრაკტიკულად ვერ განახორციელებს, რადგან იგი, როგორც შვილი, სისხლი და ხორცი გაღარიბებული თავად-აზნაურობისა და გასაწყლებული ღვდლებისა, ხელცარიელი,

უკეთა ვთქვათ, ჯიბე ცალიერია, ნივთიერად საშინლად ღატაკია...

ეს უკანასკნელი გარემოება კი ისეთი დიდი უბედურობაა, ისეთი ძლიერი შხამია, რომ ყოველივე პრაქტიკული საერო საქმე ძირშივე ისპობა ჩვენში.

ეროვნულ პროგრესისკენ, ნაციონალურ დიდებისკენ ქართველობას წასწევდა მხოლოდ და მარტო ეროვნულივე კაპიტალისტური ბურჟუაზია, იმისი ნივთიერი ძლიერება სისხლხორცს შეასხამდა ინტელიგენციის საიმედო სურვილებს, შემოქმედების ძალას...

როგორც წყალს შეერთებული ცეცხლი ქმნის ორთქლს, უძლიერეს ძალას, რომელიც იმორჩილებს და ამოძრავებს უშველებელ მეხანიზმებს, ისე სწორეთ ეროვნული კაპიტალისტური ბურჟუაზიის ნივთიერი დოვლათი სულს ჩაუდგამდა ამ დიდ საქვეყნო საქმესაც სწორეთ ისე, როგორც პოლონეთში ხდება და სხვაგანაც ასეთი ამბავი.

ახლა ეს საგანი აქ შორს წამიყვანს. მე განზრახვა მაქვს ეროვნულ კაპიტალისტურ ბურჟუაზიის შესახებ ცალკე მოველაპარაკო მკითხველს.

გულკეთილი.

ნ. დურნოვოს რეცეპტი მენშიკოვის მიმართ.

ბ. მენშიკოვი გაზ. „Новое Время"-ში წუწუნობს, რომ რუსეთი ირღვევა: განაპირა ხალხები გაჭირვების დროს მხარს არ დაგვიჭერენ, ჯარი უიმედო გვყავს, კაცები არა გვყვანნო. ამისანა მდგომარეობაში გარეშე მტრებთან ბრძოლა შეუძლებელიაო... რუსეთის ორგულთა შორის მენშიკოვი კავკასიასაც ასახელებს.

ნ. დურნოვო „Петерб. Вѣд."-ბში ასეთ რეცეპტს აძლევს ბ. მენშიკოვს: „თუ გვინდა განაპირა ხალხები მოვიმხროთ და ერთგულებაში ვიყოლიოთ, უნდა სამართლიანათ და სიყვარულით მოვეპყრათ, ასე რომ თითეულ მათგანს არ მოუნდეს რუსეთისგან განდგომა ან გაყოფა, არამედ სწყუროდეს მასთან ერთი ცხოვრებით ცხოვრება. თუ გვინდა კავკასია შევინარჩუნოთ, უნდა შევინახოთ და ხელი უწყოთ საქართველოს, რომელიც 100 წელიწადი დარაჯად უდგა მას (კავკასიას), არ უნდა ვსდევნიდეთ ეკლესიას მაინცა.

დროა სასულიერო უწყებას აღარ უყურებდეთ, როგორც კონსერვატიულ ძალას, როგორც ჭეშმარიტების მოსამსახურეს. ჩვენ იერარქიაში არის მთელი რიგი ეპისკოპოსებისა, რომლებსაც ძლივს თუ ღმერთი სწამთ, და მხოლოდ განსაკუთრებით მამონას გულისთვის და შვილების უზრუნველყოფისთვის მსახურებენო".

თქმა არ უნდა ბ. დურნოვოს რეცეპტი მოსახდენია და მარგებელი, მაგრამ ბ. მენშიკოვი მგონი ძალიან აზვიადებს საქმის ვითარებას და აზვიადებს მიტომ რომ თითონ მტერია კავკასიისა და საზოგადოთ „ინოროდცებისა" და მათაც მტრათ უყურებს. ეს ასეც უნდა იყოს. ვისაც მე ვემტერები, ყოველთვის ჩემი მტერი მგონია, თუ გინდ იგი ჩემი დიდი მოყვარეც იყოს. ავის მას ეშინია, ვინც ავს შვება. და ასეთები არიან სწორეთ რუსი ნაციონალისტები, რომლებიც ვერ თმენულობენ არა რუსებს და ამით მუდამ შურსა და განხეთქილებას სთესენ ორ ერთმორწმუნე ხალხთა შორის. ვოსტორგოვისთანა კაციჰამია ნაციონალისტები, რა თქმა უნდა, ვისაც გინდა მტრათ გადაიდებს რუსეთს. და ჩვენ დავიფიცავთ დურნოვოსთან ერთათ, რომ ვოსტორგოვი და მისთანანი სრულებით ჭეშმარიტებას, ღმერთს არ ემსახუბიან, არამედ მამონას და კარიერას.

ხმა სოფლიდამ.

„მობაძავ ჩემდა იყვენით, ვითარცა მე ქრისტესა" ამბობს წ. მოც. პავლე. მღვდელიც ასეთი უნდა, მობაძავ მღვდლისა უნდა იყოს ყოველ კეთილ საქმეში მისი სამწყსო. მაგრამ ვაი და ვაი, რომ ეს ასე არ არის საზოგადოთ,

და განსაკუთრებით ამ ჩვენ მიყრუებულ საჩინოში! ღმერთმა ნუ ინებოს, რომ სამწყსო ზოგიერთი მამების მიმბაძველ იქმნეს! ძნელი სათქმელია, სასირცხოა, ზოგიერთი მ-ბის გამოაშკარავებული საქციელი! უცოდველი ვინ არის ამ ქვეყნად, მაგრამ ცოდვაცაა და ცოდვაც! ნუ თუ, ამ ჩვენ საჩინოში ყველაფერი უკეღმართობა შეიძლება ჰქნას კაცმა და მეთვალყურე არავინ ჰყავდეს და ყოველი მისი სასირცხო მოქმედება დაუსჯელად დარჩეს? „სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე ოჯოხო“, ეს ნამდვილ საჩინოზეა თქმული. ასედაცაა ზოგიერთ ამა თუ იმ საზოგადო ასპარეზზე წამოსკუპულ სუბიექტთა საქმე. დამშლელი მათი სამარცხვინო მოქმედებისა არავინაა. არა და მათ შემხედვარე ბნელეთში მყოფთ, რა სიკეთე დაეყრებათ? საზოგადოთ მაბეზღრობა, „ჯაშუშობა“, უსაზიზღროესი ხელობაა, მაგრამ ვინმეს თვალსაჩინო სამარცხვინო მოქმედება, რომელიც მთელ საზოგადოებას ჩირქს სცხებს, რომ გამოამზეუროს კაცმა, ეს ხომ ჯაშუშობათ არ ჩაითვლება? მე არ ვეხები არავის პირადობას, ვეხები მხოლოდ მის საზოგადო მოქმედებას და იმედია არ დამწამებენ— ვინმესადმი პიროვნული ინტერესებით გაჟღენთილობას, მით უმეტეს, რომ რასაც ქვემოთ მოგახსენებთ იგი ყოველივე, სამწუხაროდ, აქსიომაა.

ს. დვალიშვილები შესდგება 300—360 კომლისაგან. ამ რამოდენიმე წლის წინეთ ეს სოფელი, როგორც წარჩინებული სარწმუნოებრივ-ზნეობრივი მხრით, თითით საჩვენებელი იყო. 1902 წ. ჩვენმა ყოფილმა მწყემსმთავარმა ლეონიდემ, დაათვალიერა აქაური კეთილგანწყობილი ეკლესია, სამრევლო შკოლა მშვენიერი შენობით და გაეცნო რა სხვა გარემოებას სოფლისას ასე ბრძანა: „ასეთი სამრევლო, როგორიცაა დვალიშვილები, თითქმის პირველია ჩემ ეპარქიაშიო“! და დღეს, 9—10 წლის შემდეგ, რას ვხედავთ? უწინ თუ თითით საჩვენებელი იყო სიკეთე ამ სოფლისა, დღეს თითითვე საჩვენებელია მისი უკან სვლა (რეგრესი). აღარაა ის მშვენიერი შენობა შკოლისა, აღარაა ის კეთილგანწყობილი თავ-თავის დროს წირვა-ლოცვა. გაურბის ხალხი ეკლესიას. წინეთ თუ ტაძარში ტევა არ იყო მლოცველებისა, დღეს თითქმის ცარიელია. დაეცა ხალხი ზნეობით, დაკნინდა სარწმუნოება. წირვა-ლოცვის დროს ეკლესიის ნაცვლად სამიკიტნოებში იკრიბებიან და შეექცევიან ზოგნი „არღანღვინითა“ ზოგნი „ბანქო-ღვინითა“ და ზოგნიც „ცეკვა—ბუქნითა“!. ყველა ამაებში ვის მიბაძა ამ სოფელმა? ყველაზედ უფრო ხშირად ვინაა წამოსკუპებული, ხსენებულ სამიკიტნოებში, თავმჯდომარის ადგილზე? ვინ შეექცევა „ცეკვა-ბუქნითა“? პასუხს იქაური კი არა, ერთხელ გამვლელი მგზავრიც მოგიგებსთ! „შორს გავარდნილა მისი სახელი. ბავშმაც კი იცის, ვინ არის ვ-ო“? და განა მხოლოდ ამ მოკლეთ ჩამოთვლილი ღირსებითაა შემკობილი ეს საარაკო სუბიექტი?! განა ასე მოკლე საგაზეთო წერილში მოთავსდება ყოველნი მისნი საქმენი საგმირონი, „საჩინონი“ და „უჩინონი“? და არა მარტო ამ მიყრუებულ საჩინოში, მან უფრო შორს გაითქვა სახელი მისი „მოღვაწეობით“. ს. დვალიშვილებში მინერალური სამკურნალო საბანაო წყლებია და „დვალიშვილების აბანოს“ ეძახიან. იქ ყოველ ზაფხულობით მრავალ-რიცხოვანი ხალხი მიდის საბანაოთ დასავლეთ საქართველოს ყოველი კუთხიდამ, უფრო კი გურიიდამ; ცნობილი „ე-ოც“ თითქმის ყოველ დღე განუშორებლათ „აბანოზეა“, არა საბანაოთ, სამიკიტნოების „სარევიზოთ“ და არღნის ჭყიპინა ხმაზედ „საბუქნაოთ“.

— კაცო რაი ვნახე ავი საჯაყი, რა ყოყოფილა აი დვალ-ბის ხ-სი? ხშირათ გაიგონებთ საბანაოთ ნამყოფ გურულებისაგან. ერთი სიტყვით ყოველი მისი ზნე-ჩვეულების აწერა მოუხერხებელია. თუმცალა მკვიდრნი იმ სოფლისანი დრტვინვენ, პროტესტს აცხადებენ, მაგრამ ჯერ-ჯეროობით ყოყელივე „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა რჩება“. რატომ ადგილობითნი მეთვალყურენი ყურადღებას არ აქცევენ ასეთ აშკარა სამარცხვინო საქციელს ზოგიერთებისას? რატომ არ ებრალებათ მათი შემხედვარე ბნელეთში მყოფი ერი?

Z.

სხვებზე შემდეგ.

გრ. დიასამიძის შეკითხვა თფილისის სათავად-აზნაურო კრებაზე.

27 მაისს თფილისში თავად-აზნაურთა კრებაზე გრიგოლ დიასამიძემ შემდეგი განაცხადა: „მე მსურს თავად-აზნაურთა კრების, ბ.ბ. წინამძღოლთა და დეპუტატთა ყურადღება მივაქციო ერთ ფრიად სამწუხარო და სავალალო მოვლენას. საგანი, რომელსაც მსურს შევეხო, ჩვენს შორის უთანხმობის ნაცვლათ, ერთსულოვნებასა და სოლიდარობას გაამეფებს. იგი იმდენათ სერიოზული და მნიშვნელოვანია, რომ მისი გადაფუჩეჩება, მის შესახებ დადუმება ყოვლად შეუძლებელია. არ იფიქროთ განზრახვა მქონდეს, რომ ამით არჩეულ აზნაურთ უსიამოვნება მივაყენო. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი გაიზიარებენ ჩემს აზრსა და გრძნობას. მე ვამბობ იმ არასასურველ ფაქტებზე, რომელსაც ჩვენ ქართული ეკლესიის ცხოვრებაში ვამჩნევთ და ვხედავთ. ჩვენ შეგვიძლია, როგორც გვსურს სარწმუნოებას ისე ვუყურებდეთ, მის შესახებ, როგორიც გვინდა, ისეთი შეხედულების ვიყვეთ, მაგრამ არ შეიძლება არ აგვაღელვოს და არ აგვაშფოთოს ეპისკოპოზი დავითის პიატიგორსკში ძალდატანებით გადაყვანამ და დიდუბის ეკლესიის საყვარელ მოძღვრის სხვა ადგილზე გამწესებამ. საჭიროა მიღებული იქნას ყოველივე ზომა, რაიც ძალგვიძს, რომ ეს საზოგადოების ამაღელვებელი და ამაშფოთებელი მოვლენა გამოსწორდეს. ვფიქრობ აზნაურთა მთელი კრება ჩემს წინადადებას ერთხმათ მიიღებს“.

საგუბერნიო კრებამ ბ-ნი გ. დიასამიძის წინადადება ერთხმათ მიიღო.

წერილი რედაქციის მიმართ.

მამაო რედაქტორო!

გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ „შინაური საქმეების“ მახლობელ ნომერში.

მისმა ყოვლადუსამღვდელოესობამ იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ ნება დართო ლაშხეთის ოლქის სამღვდელოებას და წირილთაც აცნობა აერჩია ბლაღოჩინი, თანაშემწე და კანდიდატი, რაზედაც დაინიშნა კრება სამღვდელოების ს. ჩოლურში, მოძღვართმოძღვრის სახლში. აქ წარმოსდგენ საბლაღოჩინო კანდიდატებათ: მღ. ტარასი ფოფხაძე, მღ. სოლომონ ჯანხოთელი და არსენ ონიანი; კიდევ ერთიც იყო, რომელსაც მოციქულის პირით კრებამ გამოუცხადა სირცხვილი არ ეჭამა და თავის ყუთი მოეხსნა. ამ სამ კანდატთა შორის ორსაც წინადადება მისცა კრებამ ერთი მეორისათვის დაეთმოთ, მაგრამ ნაცვლად დათმობისა ერთმა მათგანმა განაცხადა: „ჩემს ლუკმას მე არავის არ დაუთმობო“. აქედან კრებამ ცხადათ დაინახა, რომ იმ პირს არ სდომია კეთილ-მოწესეობა, არამედ ლუკმის შოვნა. ყველამ კარგათ გაიგო რას ნიშნავდა ეს სიტყვები და ამიტომ ლუკმის მაძიებელი უარყოფილი შეიქნა.

ამა 1912 წ. 11 მარტს „შინაურ საქმეების„ № 9-ში დაწერია ვიღაც „დამწერს“ არჩევნებს ფაქტიკურად აწარმოებდა ახლად ნაკურთხი მღ. ჩხეტიანიო. მე რა უფლება მქონდა არჩევნების წარმოებისა, მაგრამ, რადგანაც მქონდა გამოცდილება არჩევნების წარმოებისა და უქაზის ძალაც მესმოდა, ამისათვის მთხოვა კრებამ მოძღვართმოძღვართან ერთად მისი წარმოება, რაიცა კიდეც ჯეროვნად აღვასრულე. მაგრამ ლაშხეთის ოლქის სამღვდელოებას არ უნდოდა კეთილმოწესე სამი და ოთხი, არამედ ერთი და კიდეც აირჩიეს ერთი—მღ. ტარასი ფოფხაძე.

ეხლა ბატონი მკითხველები ძალიან კარგად მიხვდებიან, თუ ვინ კვნესის, ის რომელსაც გული სტკივა, თუ ის რომელიც კარგათ არის. ბატ. „დამსწრე“ ბძანებს ყუთის მაგივრათ ორი დიდი ქისა იყოო. თუმცა ამას დიდი მნშვნელობა არა აქვს, მაგრამ ვიტყვით მაინც, რომ ტყუილაა ეს ცნობა, რასაც მთელი კრება დამტკიცებს. ყუთები გვქონდა ჩოლურის საგლეხო კანცელარიიდან მოტანილი, რომლებიც იყვნენ გაკეთებული რიგისამებრ.

ამ ჩემ წერილს ვაბოლვებ მით, რომ დიდი მადლობის ღირსია მისი მეუფება, იმერეთის ეპისკოპოზი გიორგი, რომ ჩვენში განხეთქი-

ლება წინდაწინ უგრძვნია და კეთილ მოწესედ ჯეროვანი და ღირსეული პირი მღ. მ. იოანე მუსერიძე დაუდგენია.

ჩუკულის მთავარანგელოზის კლესიის მღვდელი.
პორფირი ჩხეტიანი.

ნეკროლოგი.

ერთი წევრი კიდევ მოაკლდა ჩვენ სასიქადულო „ძველი მოძღვრები-“ს რიცხვს; კიდევ ერთიც მოშორდა ახლანდელ სარწმუნოებრივი გულცივობის დროს და თან წაიღო შემაძრწუნებელი ამბავი ამდროინდელი სარწმუნოებრივი გულცივობისა. საბრალო თავის სიცოცხლის ბოლო ჟამში მუდამ გულტკივნეულად იყო, მწარედ გოდებდა სარწმუნოების მხრივ დროების უარესობაზე და ამბობდა: „რათ მოვესწარი ამდენ „ანტექრისტეს“ მოციქულებსაო; ვაი თუ ცოდვა ისე გაგვიდიდა, რომ ღმერთმა ჩვენგან ხელი აიღო და სოდომისებურათ აღგვას გვიპირებდესო“. მღვდელი მ. ანტონ ოდიშარია, რომელზედაც ჩვენ მოგახსენებთ, იყო 48 წლის ნამსახური მოძღვარი და განისვენა 15 გასულს თებერვალს. ამ ხნის განმავლობაში მან დიდი ღვაწლი დასდო თავის სამწყოსს, როგორც ზნეობრივ-სარწმუნოების მხრივ, ისე ნივთიერათაც. ის შკოლებში არ იყო ნასწავლი. მან სწავლა-განათლება მიიღო მარტვილის მონასტერში ნეტარ-ხსენებულის ჭყონდიდელის ტარასის ხელმძღვანელობით, რომელმაც პირდაპირ შთაბერა მას ბერობის სული და გამოჰქნა მისგან მღვდელ-ბერი. მისი გრძნობიერი და სასოებიანი ღვთის მსახურება სწორეთ რომ ძველ მორწმუნე მამებს მოაგონებდა კაცს. როცა ის საღმრთო ლიტურგიას ასრულებდა, მხოლოდ მისი აჩრდილი-ღა იყო ქვეყანაზე. ყოველ დილა-საღამოს, მიუხედავად იმისა იყო თუ არა მწირველი, ასრულებდა ხოლმე მწუხრ-ცისკარ-პარაკლისს. ამითი იმან დაიმსახურა სამწყოსს თვალში ნამდვილი მოძღვრის პატივი და სახელი. კიდევაც ამიტომ ეტანებოდნენ იმას არა მარტო თავისი სამწყსო, რომელსაც იგი მეტის-მეტათ უყვარდა, პატივს სცემდა და „ჯეროვნად ისმენდა მისსა“, არამედ გარეშე სამწყსომებიცა. ლოგინად ჩავარდნის უმალ მან სიზმარში ნახა, რომ ზეცისკენ იწვევდნენ. მისი სიკვდილი ნამდვილ მართლის სიკვდილი იყო, ნეტარხსენებულმა ღიმილით განუტევა სული. სიკვდილის წინ მან თავის შვილი, შვილიშვილები და მის სანახავათ მოსული მოწაფენი აკურთხა და უანდერძა, რომ არავითარმა განსაცდელმა არ შეაფერხოს იმათი ღვთისადმი ერთგულება.

საუკუნოთ იყოს ხსენება შენი, დაუღალავო ქრისტეს ყანის მუშაკო, მ. ანტონ!

მღ. კ. დანელია.

მადლობის გამოცხადება.

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის „შინაური საქმეების“ საშვალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო პირადათ და მრევლის მხრით ბატონს მიხაილ ერასტის ძე დარახველიძეს, რომელსაც, როგორც თავჯდომარეს კომიტეტისას, ბევრი შრომა და ღვაწლი მიუძღვის რწმუნებულ ჩემდამო დაფნარის ზედმიწერილის ღვთისმშობლის ქვის ეკლესიის აღშენებისთვის და რომელმაც შემოსწირა ამ ეკლესიის აღსაშენებლად 1053 მანეთი და 51 კაპ., და მოსაწყობათ შემდეგი საეკლესიო ნივთები: 1) ზარა ღირებული 300 მან., 2) კანდელი ღირებული 110 მან., 3) ორი სასანთლე 40 მან., 4) ღვთისმშობლის ხატი-14 მან., 5) გარდმოხსნა-18 მან., 6) სამღეროვანი სასანთლე 5 მან., 7) სათლის საწყობი შკაფი 12 მან., 8) საცეცხლური 5 მან., და კიდევაც ეკლესია ესე ეკურთხა 22 მატს ამა წლისა მისივე ხარჯით. ამასთანავე ამა ეკლესიის მახლობლად იანვრის თვეში ამავე წლისა დარახველიძემ 450 კვ. საჯ. მიწა იყიდა 200 მანეთად და შესწირა დაფნარის სამრევლო შკოლას; ფულათ მიიტანა შენობის ასაგებად 300 მან., გამოიტანა პლანი გუბერნიის სამართველოდგან და აშენებს ქვის შენობას

დაფნარის ორ კლასიან სამრევლო შკოლისათვის. ღმერთსა ვსთხოვ გვიცოცხლოს ბ. მიხაილ დარახველიძე მრავალს წელს სასიქადულოთ და საკეთილდღეოთ ჩემი მრევლისა, რომ შეასრულებიოს უფალმან ყოველივე მისი კეთილნი განზრახვანი.

ამასთანავე გთხოვთ უმორჩილესად თქვენის საშვალებით სხვა ჟურნალ-გაზეთებშიდაც იქნეს მოთავსებული ეს ჩემი მცირე მადლობა.

მღვდელი ამბროსი კანდელაკი.

რედაქტორი მღვდელი **სიმონ მჭედლიძე.**
გამცეომმელი **იოსებ ლეჟავა.**

განცხადება

„ძმობის“ სტამბაში ამ ჟამად იბეჭდება და მოკლე დროში გამოვა გასაყიდათ წიგნები

„სინამდვილე სახარებისა“
და უბის
„ვეფხვის ტყაოსანი“

ფასი თითოეული წიგნისა **ექვსი შაური.** დაკვეთა დღეიდანვე შეიძლება.

)(ძმობის სტამბაში)(

დაიბეჭდა მეტრიკის ამოწერილობის ბლანკები.

იყიდება იქვე.

სტამბა - „ძმობა“

ქაზაკოვის ქუჩა, № 17,

ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეს **ასრულებს დროზე და სუფთათ.**

ფასები დაკლებულია.

სამხატვრო სახელოსნო
ყირიაკოვისა
ქუთაისში.

ღებულობს ყოველგვარ სამხატვრო-საეკლესიო სამუშაოებს, ასრულებს დროზე, სუფთათ, საიმედოთ და სინიდისიერათ.

ფასები ნახატების ღირსებაზე და ზომაზეა დამოკიდებული და ყოველ შემთხვევაში საშუალოა.

სამხატვროს არავისთან დამოკიდებულება და კავშირი არა აქვს და ამიტომ ყველას სთხოვს პირადათ მასთან მოიქცენ და არ დაუჯერონ ზოგიერთ ჩარჩ მხატვრებს და მოიჯარადრეებს რომლებიც ჩვენი ფირმის სახელით სარგებლობენ საქმის აღების დროს სოფლებში. სამუშაოებს პირობით ვღებულობთ, თუ მოწონებული არ იქნება სასულიერო მთავრობისაგან უკანვე ვიბრუნებთ და სხვას ვასრულებთ იმავ მთავრობის შენიშვნისამებრ.

ჩვენი ფირმა სარგებლობს იმერეთის და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსების ნდობით.

ადრესი: „შინაური საქმეების“ რედაქცია ან ქაზაკოვის ქუჩა № 17.